თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	ეკატერინე ონიკაძე
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრევულოს წევრი
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება	1. ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისია, 2. სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	პროპორციული
საანგარიშო პერიოდი	2023 წლის 31 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრამდე
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. 1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა **15**
საკრებულოს სხდომებზე დასწრება **11**

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების

კომისიის სხდომებზე დასწრება მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების-

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია: ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 12 სხდომა, დავესწარი -8 -ს ;

როგორც სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, ჩატარებული 5 სხდომიდან, დავესწარი - 4-ს.

1.3 **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -5**
ფრაქციის სხდომებზე დასწრება **- 2**

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

- ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასათვის", რომელი ორგანიზაციაც ითვლება ბავშვთა განვითარების პროგრამების ძირითად მიმწოდებლად თელავის მუნიციპლიტეტში, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩა, ჩიხი III,№3-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველი და მესამე კორპუსების სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა დადგენილება

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამები, თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება, სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა,

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა ----------

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 36
და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა --1100

1.8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: - ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის ხელშეწყობა, ქალთა ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მუნიციპალური პროგრამების განვითარების ხელშეწყობა, შშმ პირთათვის მუნიციპლაიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების ადაპტირების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ინიციატივებისა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა, სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი პროვაიდერი ორგანიზაციების შექმის ხელშეწყობა.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციასათვის", თელავის მუნიციპლიტეტში, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩა, ჩიხიIII, №3-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველი და მესამე კორპუსის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- ვარ ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს წევრი და ამ უფლებამოსილების განხორციელებისას მარტის ქალთა თვის კამპანიის ფარგლებში კახეთის მასშტაბთ ჩავატრეთ 8 საინფორმაციო შეხვედრა კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ქალთა საკუთრების უფლებების შესახებ, შევხვდით 140 ქალს. ორგანიზება გავუწიეთ 40-70 წლის ქალთა ტრანსპორტირებას გურჯაანში „იონი-კახეთის" სკრინინგ ცენტრში კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და ჯამში 435 ქალს დავეხმარეთ სკრინინგის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობაში.

- ვარ თელავის მუნიციპაიტეტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და საანგარიშგებო პერიოდში, ვიყავი თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მოგებული პროექტის „პრევენციული ჯანდაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თელავის მუნიციპალიტეტში" (რომელიც დაფინანსდა ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ვოლდ ვიჟენ საქართველოს მიერ) აქტიური მონაწილე, ვუძღვებოდი საინფორმაციო შეხვედრებს. ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 13 საინფორმაციო შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტის 12 სოფელში (მ/შ სოფ. ყარაჯალაში 2 შეხვედრა). პროექტის ფარგლებში მომზადდა და გავრცელდა 500 ერთეული საინფორმაციო ბუკლეტი - 2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. მომზადდა ვიდეო 2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ, აიტვირთა თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფეისბუქის გვერდზე და გავრცელდა წევრების საშუალებით. შეხვედრების, ბუკლეტების და ვიდეოს საშულებით შევძლთ ინფორმაცია მიგვეწვდინა 500 (საინფორმაციო შეხვედრები და ბუკლეტების გავრცელება) პირდაპირი და 37,500 არაპირდაპირი მონაწილისთვის.
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თამაშრომლობის ფარგლებში ჩავატარე საინფორმაციო შეხვედრები შშმ ბავშვების მშობლებთან ჯანდაცვის და სოციალური სახელმწიფო პროგრამების შესახებ, საინფრომაციო კამპანიაში მონაწილეობდა 90 მშობელი, ჩავატარე ინდივიდუალური კონსულტაციები 58 მშობელთან და ერთობლივად განვსაზღვრეთ ბავშვების პროგრამული საჭიროებები.

- სამედიცინო კადრების დეფიციტისა და პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში ექიმების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით თელავში დავიწყეთ ,,მომიჯნავე სპეციალობების ოჯახის ექიმად გადამზადების პროგრამა", - უკვე გადამზადებულია 15 ექიმი, მომავალში ყოველ 6 თვეში 5 ექიმი გადამზადდება, რაც ხელ შეუწყობს კადრების დეფიციტის სრულად აღმოფხვრას, არამარტო თელავის მუნიციპალიტეტში, არამედ მთლიანად კახეთის რეგიონში;
- როგორც ტრენერი ვმონაწილოები ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტში „პირველადი ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში WASH ინფრასტრუქტურის/მომსახურების მონიტორინგის შესაძლებლობათა გაძლიერება" - ჩავატარე ონ-ლაინ შეხვედრები, სადაც მონაწილოება მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიების 52 მედპერსონალმა.

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

1. დედათა და ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური მუნიციპალური სერვისების გაძლიერება;;
2. მოქალაქეებთან შეხვედრების ინტენსივობის და წამოჭრილი საკითხების გადაჭრაში მონაწილეობა;
3. სოფლად პჯდ გაძლიერებაში მონაწილეობა

შევსების თარიღი: 31. 10. 2024 წ.

წარდგენის თარიღი: 31. 10. 2024 წ.

ხელმოწერა ----------